შპს „პონტიკა" ს/კ 402073448
მისამართი:
ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის 30/183/185
ტელ.: +995555295558
Email: [illegible]

GAC – IB – 0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ქალაქი თბილისი, საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე (საკ. კოდი 01.10.10.025.118) სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ PG 2334/15.09.2022

მომსახურეობის სფერო: პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 31.08.2022

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 15.09.2022

დამკვეთი: შპს „კუბიკონი" ს/კ 405081655

საფუძველი: ხელშეკრულება №661/08-22; განაცხადი

შემსრულებელი ექსპერტი და შემსრულებლის კვალიფიკაცია:

გურამ იამვილი უმაღლესი განათლებით ინჟინერ გეოლოგი. ჰიდროლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობს 28 წლის სტაჟით.

სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქი თბილისი, საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე (საკ. კოდი 01.10.10.025.118) სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;

წარმოდგენილი მასალები:

ქალაქი თბილისი, საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე (საკ. კოდი 01.10.10.025.118) სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – „საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";
- ✓ პ.ნ. 02.01-08 – „შენობა-ნაგებობების ფუძეები";
- ✓ პ.ნ. 01.01.09 – „სეისმომედეგი მშენებლობა";
- ✓ ს.ნ. და წ. IV-5-82 – „მიწის სამუშაოები";
- ✓ ს.ნ.და წ. 3.02.01-87 – „მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";
- ✓ პ.ნ. 01.05-08 – „სამშენებლო კლიმატოლოგია";
- ✓ ს.ნ. და წ. 2.03.11-85 – „სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვა";
- ✓ სახსტანდარტი 25100-82 – „გრუნტების კლასიფიკაცია";
- ✓ PNT/IB/IP-7.1-22-04-A45 ინსპექტირების პროცედურა.

გამოკვლევა

ჩვენს მიერ 2022 წ. სექტემბრის თვეში, შემოწმებული იქნა – ქალაქი თბილისი, საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები;

- **დამკვეთი:** – შ.პ.ს. "კუბიკონი";
- **ობიექტის დასახელება:** – საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე;
- **მშენებლობის ტიპი** (ახალი, რეკონსტრუქცია, გაფართოება): – ახალი;
- **ობიექტის მისამართი:** – ქ. თბილისი, გელოვანის გამზირი (საკ. კოდი 01.10.10.025.118);
- **შენობის პასუხისმგებლობის დონე** (ГОСТ 27751-88): – II;
- **შენობის ტიპი:** – რკ. ბეტონის, მონოლითური, კარკასული;
- **ობიექტის დაპროექტების სტადია:** – სამშენებლო დოკუმენტაცია;
- **ობიექტის ტექნიკური დახასიათება:** – შენობები გეგმაში რთული მოხაზულობისაა, დაახლოებით 4 სართულიანი, შესაძლებელია დაემატოს სარდაფის სართული (დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებზე);
- **± 0.00 სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული:** ± 0.00;
- **საძირკვლის სავარაუდო ტიპი:** – დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე, განიხილება ერთიანი რკ. ბეტონის ფილაც, ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებიც;
- **საპროექტო სავარაუდო დატვირთვა სად-ის ფუძეზე:** 2.5-3.5 კგ/სმ²-ზე ფილის შემთხვევაში;

ექსპერტიზისათვის წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების ანგარიში, რომელიც შედგება:

– საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში;

ტექსტური დანართები:

დანართი 1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ჯამური ცხრილი;

დანართი 2 გრუნტების გრანულომეტრიული შემადგენლობის ჯამური ცხრილი;

დანართი 3 გრუნტების გრანულომეტრია - საცრული და არეომეტრი;

დანართი 4 წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე;

დანართი 5 დეფორმაციის მოდული;

დანართი 6 ჭრა;

დანართი 7 გრუნტების ქიმიური შემადგენლობა;

დანართი 8 გრუნტების აგრესიულობის ხარისხი;

დანართი 9 წყლის ქიმიური ანალიზი;

დანართი 10 წყლის აგრესიულობის ხარისხი;

დანართი 11 გარემოს აგრესიულობის ხარისხი;

დანართი 12 ფოტოდანართები.

ნახაზები:

ნახაზი 1. ჭაბურღილების განლაგების გეგმა;

ნახაზი 2. ჭაბურღილების სვეტები;

ნახაზი 3. ლითოლოგიური ჭრილები:

- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია: – შ.პ.ს. "გეოტექსერვისი"-ს მიერ;
- დირექტორი: გიორგი ბენდელიძე;
- ინჟინერ-გეოლოგი: გიორგი ტლაშაძე;

შ.პ.ს. ,,კუბიკონი"-სთან 2022 წლის იანვრის თვეში დადებული ხელშეკრულების თანახმად შპს ,,გეოტექსერვისმა" ჩაატარა ქ. თბილისში, საზოგადოებრივი შენობის სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა მისამართი: გელოვანის გამზირი (ს/კ: 01.10.10.025.118).

- როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშიდან ჩანს, კვლევის მიზანია: - ოთხსართულიანი შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა და ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების დადგენა;
- საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით (ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად) დათვალიერებული იქნა მიმდებარე ტერიტორია და მოძიებული იქნა ამ რაიონში უბნის მიმდებარედ ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფონდო მასალები;
- სამშენებლო მოედანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისათვის გაიბურღა 10მ. სიღრმის 12 ჭაბურღილი. (საერთო სიღრმით – 120.0გრძ.მ.);
- ჭაბურღილებიდან მათი შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იქნა დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის 30 ნიმუში;

➢ საველე სამუშაოები მიმდინარეობდა - 2022 წლის 10-15 იანვრს;

➢ ლაბორატორიული კვლევები ჩატარებულია: – შ.პ.ს. "გეოტექსერვისი"-ს კუთვნილ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში 2022 წლის 12 იანვრიდან 21 იანვრამდე;

➢ კამერალური სამუშაოები მიმდინარეობდა - 2022 წლის 17 იანვრიდან 30 იანვრამდე;

- კვლევები მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს:
- გამონამუშევრების გაყვანა;
- შემდგომი ლაბორატორიული კვლევებისათვის ნიმუშების აღება;
- გრუნტების ფიზიკური, მექანიკური და ქიმიური თვისებების ლაბორატორიული კვლევა;
- გამონამუშევრების ჭრილების შედგენა;
- გამონამუშევრების ჭრილებზე დაყრდნობით ლითოლოგიური ჭრილების აგება;
- არსებული ფონდური, საველე და ლაბორატორიული მასალის ანალიზის საფუძველზე შესწავლილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენა.

- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი უბანი მიეკუთვნება I კატეგორიას.

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა" (ᲐᲜ 01.01-09)-დამტკიცების თანახმად, საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება – სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.17 და 8 ბალიან (MSK64 სკალა) სეისმურ რაიონს.

- სამშენებლო უბანზე გამოიყო ნიადაგის ფენა და 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.). აქედან:

1. ნიადაგის ფენა, თიხა ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, მც.ფესვების შემცველობით;

2. ტექნოგენური გრუნტი, ხრეში (10-15%) და კენჭი (15-20%), ყავისფერი-შავი, პლასტიკური თიხაქვიშის (10-20%) შემავსებელით, კარბონატული;

3. სგე 1 თიხნარი ღია ყავისფერი, მაგარი, თიხაქვიშის ლინზებითა და თხელი შუაშრეებით, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით 5-დან 20%-მდე (dpQIV) (ГОСТ 25100-82);

4. სგე 2 თიხა ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური, თიხაქვიშის თხელი შუაშრეებით (dpQIV) (ГОСТ 25100-82);

5. სგე 3 კენჭნაროვანი გრუნტი, სხვადასხვა ზომის, ყავისფერი თიხნარის შემავსებლით, ხრეშის (15%-მდე) და კაჭარის (10%-მდე) ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQIV) (ГОСТ 25100-82);

6. სგე 4 კენჭნაროვანი გრუნტი, წვრილი და საშუალო ზომის, მოლურჯო-ნაცრისფერი თიხაქვიშის შემავსებლით, ხრეშის (15-20%-მდე) და იშვიათად კაჭარის ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQIV) (ГОСТ 25100-82);

7. სგე 5 ელუვირებული ქვიშაქვებისა და არგილიტების ცვალებადი სისქის (2-50 სმ) შრეთა მორიგეობა, ალევროლითების თხელი შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული, ძლიერ ნაპრალოვანი (P_3^{2-3}) (ГОСТ 25100-82).

ჭაბურღილებში წყლის გამოვლენა მოხდა 6.1-6.7მ სიღრმის ინტერვალში, ხოლო დამყარება 5.9-6.1მ ინტერვალში.

» ანგარიში შედგენილია არსებული ფონდური, საველე და ლაბორატორიული მასალების ანალიზის საფუძველზე;

» ანგარიშში განხილულია საკვლევი ტერიტორიის:

- გეოლოგიური აგებულება;
- გეომორფოლოგიური აგებულება;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- კლიმატური პირობები;
- სეისმური პირობები;
- გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება;
- ლითოლოგიური ჭრილების აღწერა;
- ლაბორატორიული კვლევების შედეგები;

» საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები განხორციელებულია და დასკვნა მომზადებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო ნორმები და წესები) მოთხოვნათა გათვალისწინებით;

"დასკვნები და რეკომენდაციები" შედგება 10 პუნქტისგან, სადაც აღნიშნულია, რომ:

ჩატარებული კვლევების შედეგების და არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება III კლიმატურ და III-გ ქვერაიონს;

2. შესწავლილი უბანი საქართველოს სეისმური დარაიონების მიხედვით მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას, AA–0.17 სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით (სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა" პნ 01.01-09);

3. სამშენებლო უბნის აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ, ზედაპირიდან ტექნოგენური გენეზისის გრუნტები, რომლებიც ფარავენ პროლუვიურ-დელუვიური, ალუვიური და ოლიგოცენური ასაკის წარმონაქმნებს;

4. საველე და ლაბორატორიული კვლევებით შესწავლილ უბნზე გამოიყო გრუნტების 7 ლითოლოგიური სახესხვაობა, 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

- ნიადაგის ფენა, თიხა ყავისფერი, მწელპლასტიკური, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, მც.ფესვების შემცველობით;
- ტექნოგენური გრუნტი, ხრეში (10-15%) და კენჭი (15-20%), ყავისფერი-შავი, პლასტიკური თიხაქვიშის (10-20%) შემავსებელით, კარბონატული;
- სგე 1 თიხნარი ღია ყავისფერი, მაგარი, თიხაქვიშის ლინზებითა და თხელი შუაშრეებით, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით 5-დან 20%-მდე (dpQ_{IV}) (ГОСТ 25100-82);
- სგე 2 თიხა ღია ყავისფერი, მწელპლასტიკური, თიხაქვიშის თხელი შუაშრეებით (dpQ_{IV}) (ГОСТ 25100-82);
- სგე 3 კენჭნაროვანი გრუნტი, სხვადასხვა ზომის, ყავისფერი თიხნარის შემავსებლით, ხრეშის (15%-მდე) და კაჭარის (10%-მდე) ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQ_{IV}) (ГОСТ 25100-82);
- სგე 4 კენჭნაროვანი გრუნტი, წვრილი და საშუალო ზომის, მოლურჯო-ნაცრისფერი თიხაქვიშის შემავსებლით, ხრეშის (15-20%-მდე) და იშვიათად კაჭარის ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQ_{IV}) (ГОСТ 25100-82);
- სგე 5 ელუვირებული ქვიშაქვებისა და არგილიტების ცვალებადი სისქის (2-50 სმ) შრეთა მორიგეობა, ალევროლითების თხელი შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული, ძლიერ ნაპრალოვანი (P_3^{2-3}) (ГОСТ 25100-82).

5. შესწავლილ უბანზე მოთხრილი ასაკის ნალექებში გავრცელებულია ფორული ცირკულაციის წყლები;

6. სგე 1, 2 და სგე 5 გრუნტები მიეკუთვნებიან II კლასის რბილი შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), სგე 3 და სგე 4 გრუნტები მიეკუთვნებიან II კლასის ფხვიერი შეუკავშირებელი გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), ხოლო **ტექნოგენური გრუნტი** მიეკუთვნებიან IV კლასის ტექნოგენური გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация);

7. სგე 1 გრუნტები ჰიდროკარბონატულ, ქლორიდულ, კალციუმიანია. გრუნტები არ არიან აგრესიულნი პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – სუსტად აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ;

- სგე 2 გრუნტები სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია, გრუნტები ძლიერ, საშუალოდ და სუსტად აგრესიულნი არიან პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ;

- სგე 3 გრუნტები სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია, გრუნტები ძლიერ, საშუალოდ და სუსტად აგრესიულნი არიან პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ;

- სგე 4 გრუნტები სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია, გრუნტები ძლიერ, საშუალოდ და სუსტად აგრესიულნი არიან პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ;

- სგე 5 გრუნტები ჰიდროკარბონატულ, ქლორიდულ, კალციუმ, მაგნიუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია. გრუნტები სუსტად ან საერთოდ არ არიან აგრესიულნი პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ;

8. ქიმიური შედგენილობის მიხედვით წყალი სულფატურ, კალციუმ ნატრიუმ-კალიუმიანი დამარილიანების ტიპისაა;

- ნიმუში ამჟღავნებს სუსტ აგრესიულობას წყალბადიონის მაჩვენებლის (განლაგებულ ქანებში Kf<0.1m/dR.R) W4 სახის ცემენტის მიმართ, ხოლო პორტლანდცემენტის მიმართ ძლიერ, საშუალოდ ან სუსტად აგრესიული არიან;

- წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინაბეტონის არმატურაზე, პერიოდული დასველებით არის საშუალო, ხოლო ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1m/დღე-ღამეში, არის ასევე საშუალო;

9. სამშენებლო მოედანზე რაიმე სახის საინჟინრო გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი, რომელიც ხელს შეუშლის ნაგებობის მშენებლობას ან მის შემდგომ ექსპლუატაციას მოსალოდნელი არ არის, რეკომენდირებულია გათვალისწინებული იქნას ამავე თავის რეკომენდაციები;

10. კვლევების შედეგად მიღებული საინჟინრო გეოლოგიური ელემენტებისათვის ყველა მშენებლობისათვის საჭირო ნორმატიული მაჩვენებლები მოცემულია ტექსტის ბოლოს, ცხრილში 7.1.

<u>რეკომენდაციები:</u>

- მოედანი გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს მდ. დიღომის წყალის და მდ. მტკვარის ტერასას, რაც გამოიხატება კენჭნაროვანი გრუნტის გამოვლენაში. კენჭნაროვანი გრუნტი გვხვდება ლინზების, ჯიბეების და ბუდობების სახით. გასათვალისწინებელია, რომ სამშენებლო მოედნის ამგები ქანების გავრცელება არაერთგვაროვანია;
- აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მოედანს ესაზღვრება მდ. დიღომის წყალის ხევი, სადაც განვითარებულია სიღრმული ეროზია, რაც საყურადღებო და გასათვალისწინებელია მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში;
- საყურადღებო და მშენებლობის პერიოდში გასათვალისწინებელია გრუნტების სეისმურობა, რომელიც დადგენილი იქნა სამშენებლო ობიექტის 8 (A–0.17) სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) ბალიანი სეისმურობის ზონაში მდებარეობის და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით („სეისმომედეგი მშენებლობა" პნ 01.01-09). აღნიშნულის თანახმად, სეისმურობის მიხედვით გრუნტები განეკუთვნება: სგე 1, 3, 4 და სგე 5 - II კატეგორიას და განისაზღვრება 8 ბალით, სგე 2 - III კატეგორიას და განისაზღვრება 9 ბალით, სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა **ტექნოგენური გრუნტებისათვის** განეკუთვნება IV კატეგორიას და ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად.

ექსპერტი

ინჟინერ-გეოლოგი /გურამ იაშვილი/

დ ა ს კ ვ ნ ა:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში აკმაყოფილებს საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ("სამშენებლო ნორმები და წესები") მოთხოვნებს, რის გამოც – ქ. თბილისი, საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე (საკ. კოდი 01.10.10.025.118) სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი
ინჟინერ-გეოლოგი /გურამ იაშვილი/

ტექნიკური მენეჯერი /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ლალი აბუაშვილი

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნიკოლაძის №183/185;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
19 მარტი 2021 წ.

ძალაშია
17 იანვარი 2023 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0255**
განკარგულება №06/12
თარიღი: 17.01.2019 წელი

სფეროს გაფართოება
აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0306**
განკარგულება №06/147
თარიღი: 19.06.2019 წელი

მისამართის ცვლილება
აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0306**
განკარგულება №06/59
თარიღი: 19.03.2021 წელი

სფეროს აქტუალიზაცია
აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0306**
განკარგულება № 01/40
თარიღი: 08.06.2021 წელი

„ვამტკიცებ"
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „პონტიკა"

მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის № 183/185

N	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВииР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-21-03-A19 ინსპექტირების პროცედურა
2.	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВииР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-21-03-A21 ინსპექტირების პროცედურა.

3.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 7. PNT/IB/IP-7.1-21-03-A22 ინსპექტირების პროცედურა.
4.	ობიექტის ან მისი ნაწილის სანჟინრო ქსელების: • ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), • სუსტი დენების; • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების; • წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების სისტემების; - შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;) 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 6. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 8. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 9. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 10. ისო/იეკ 11801-2017 11. PNT/IB/IP-7.1-21-03-A22 ინსპექტირების პროცედურა.

5.	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი ისტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხახობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 11. PNT/IB/IP-7.1-21-03-A23 ინსპექტირების პროცედურა;
6.	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. PNT/IB/IP-7.1-21-03-A45 ინსპექტირების პროცედურა

7.	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5. PNT/IB/IP-7.1-21-03-A49 ინსპექტირების პროცედურა.
8.	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 6. PNT/IB/IP-7.1-21-03-A44 ინსპექტირების პროცედურა
9.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით, და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები-(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისშესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ"

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 6. PNT/IB/IP-7.1-21-03-A26 ინსპექტირების პროცედურა.
10.	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ისო/იეკ 11801-2017; 6. PNT/IB/IP-7.1-21-03-A26 ინსპექტირების პროცედურა.
11.	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. PNT/IB/IP-7.1-21-03-A47 ინსპექტირების პროცედურა
12.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. PNT/IB/IP-7.1-21-03-A53 ინსპექტირების პროცედურა

.	.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია; ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „შშენებლობის უსაფრთხოების შესახებ" (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება, N 361); 3. ტექნიკური რეგლამენტი: " სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები" (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება N 477) 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 6. PNT/IB/IP-7.1-21-03 A55 ინსპექტირების პროცედურა
13.	პროექტის შრომის უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება		



ქ. თბილისი

საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა

თბილისი 2022

ქ. თბილისი

საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა

შ.პ.ს. „გეოტექსერვისი”

დირექტორი გ. ბენდუქიძე

პროექტის მენეჯერი

ინჟინერ-გეოლოგი გ. ტლაშაძე

თბილისი 2022



სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-TL-0227

ადასტურებს, რომ

შპს „გეოტექსერვისი“-ს

საგამოცდო ლაბორატორია

მისამართი: ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N110

შეუსაბამებს და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. არამადნეული და საშენი მასალები: ღორღი და ხრეში მთის მკვრივი ქანებისგან სამშენებლო სამუშაოებისათვის; გრუნტები.
(დანართი „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
16 მარტი 2020 წ.

ძალაშია
13 დეკემბერი 2022 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

ტექნიკური დავალება №14-21

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

15 დეკემბერი

"____"---------- 2021 წ.

- ობიექტის დასახელება – *საზოგადოებრივი შენობა გელოვანის გამზირზე;*
- მშენებლობის ტიპი (ახალი, რეკონსტრუქცია, გაფართოება) – *ახალი;*
- ობიექტის მისამართი – *ქ. თბილისი, ს/კ კოდი №01.10.10.025.118*
- ობიექტის დაპროექტების სტადია – *სამშენებლო დოკუმენტაცია;*
- შენობის პასუხისმგებლობის დონე (ГОСТ 27751-88) – *II;*
- შენობის ტიპი: - *რკ/ბეტონის, მონოლითური, კარკასული;*
- ობიექტის ტექნიკური დახასიათება – *შენობები გეგმაში რთული მოხაზულობისაა დაახლოებით 4 სართულიანი, შესაძლებელია დაემატოს სარდაფის სართული (დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებზე;*
- ± 0.00 სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული: ± *0.00;*
- საძირკვლის სავარაუდო ტიპი: – *დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე. განიხილება ერთიანი რკ/ბეტონის მონოლითური ფილაც. ნაბურლ-ნატენი სიმონკებიც;*
- საპროექტო სავარაუდო დატვირთვა სან.-ის შუძეზე: *2.5-3.5 კნ/სმ²-ზე ფილის შემთხვევაში;*
- სავალე სამუშაოები – *საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილი იქნას* ***12*** *((სარეკომენდაციო რაოდენობა და მდებარეობა, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს ინჟინერ-გეოლოგის მიერ) ჭაბურღილი, სიღრმე განისაზღვროს გეოლოგის მიერ* ***СНиП 1.02.07-87*** *თანახმად;*
- განსაკუთრებული აღნიშვნები – *შეფასდეს უბნის ამგები გრუნტების, ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრები: ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, პუასონის კოეფიციენტი, სიმკვრივე, საგების კოეფიციენტი, ხახუნის კუთხე, შეჭიდულობა, საანგარიშო წინაღობა, ძირითადი კლდოვანი გრუნტების წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ისე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში. (RC(o); ρ; E; C; μ; φ) და სხვა.*

- შენიშვნა – *საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას ამონაწერი, მინიმუმ 2 ეგზემპლარად (ქართულ ენაზე) და აგრეთვე ელ. ვერსია;*
- დანართი – *ტოპოგრაფიული გეგმა, საპროექტო შენობის კონტურით და ჭაბურღილების განლაგების სავარაუდო ადგილების მითითებით;*

- *პროექტის წამყ. კონსტრუქტორი:* *მათე საჯაია* /  /

mob. 555 58 60 85
E-mail m.sajaia@cubicon.ge

სარჩევი:

1. შესავალი;
2. კლიმატური პირობები;
3. ტექტონიკა, გეომორფოლოგიური და გეოლოგიური აგებულება, სეისმურობა;
4. ლაბორატორიული კვლევის შედეგები;
5. გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება;
6. ლითოლოგიური ჭრილის აღწერა;
7. დასკვნები და რეკომენდაციები;

<u>ტექსტური დანართები:</u>

დანართი 1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ჯამური ცხრილი;
დანართი 2 გრუნტების გრანულომეტრიული შემადგენლობის ჯამური ცხრილი;
დანართი 3 გრუნტების გრანულომეტრია - საცრული და არიომეტრი;
დანართი 4 წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე;
დანართი 5 დეფორმაციის მოდული;
დანართი 6 ჭრა;
დანართი 7 გრუნტების ქიმიური შემადგენლობა;
დანართი 8 გრუნტების აგრესიულობის ხარისხი;
დანართი 9 წყლის ქიმიური ანალიზი;
დანართი 10 წყლის აგრესიულობის ხარისხი;
დანართი 11 გარემოს აგრესიულობის ხარისხი;
დანართი 12 ფოტოდანართები.

<u>ნახაზები:</u>

ნახაზი 1. ჭაბურღილების განლაგების გეგმა;
ნახაზი 2. ჭაბურღილების სვეტები;
ნახაზი 3. ლითოლოგიური ჭრილები:
ნახაზი 3.1 ლითოლოგიური ჭრილი I-I[1];
ნახაზი 3.2 ლითოლოგიური ჭრილი II-II[1];
ნახაზი 3.3 ლითოლოგიური ჭრილი III-III[1].

1. შესავალი

შ.პ.ს. „კუბიკონი”-სთან 2022 წლის იანვრის თვეში დადებული ხელშეკრულების თანახმად შპს „გეოტექსერვისმა” ჩაატარა ქ. თბილისში, საზოგადოებრივი შენობის სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა მისამართი: გელოვანის გამზირი (ს/კ: 01.10.10.025.118).

ტექნიკური დავალების საფუძველზე გაიბურღა დამკვეთის მიერ განსაზღვრული თორმეტი ჭაბურღილი (ნახაზი 1).

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2022 წლის 10-15 იანვარს;

ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობდა 2022 წლის 12-21 იანვარს;

კამერალური სამუშაოები მიმდინარეობდა 2022 წლის 17-30 იანვარს.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი უბანი მიეკუთვნება I კატეგორიას.

კვლევები მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს:

- გამონამუშევრების გაყვანა;
- შემდგომი ლაბორატორიული კვლევებისათვის ნიმუშების აღება;
- გრუნტების ფიზიკური, მექანიკური და ქიმიური თვისებების ლაბორატორიული კვლევა;
- გამონამუშევრების ჭრილების შედგენა;
- გამონამუშევრების ჭრილებზე დაყრდნობით ლითოლოგიური ჭრილების აგება;
- არსებული ფონდური, საველე და ლაბორატორიული მასალის ანალიზის საფუძველზე შესწავლილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენა.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენისას გამოყენებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი შემდეგი სტანდარტები: - პნ 02.01-08; პნ 01.01-09; СНиП 2,02,01-83, ГОСТ 25100-82.

შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობა მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1

სამუშაოს სახეობა	განზომილება	რაოდ.
სავლე სამუშაოები:		
12 ჭაბურღილი	გრძ.მ.	120
ნიმუშების აღება	ნიმუში	48/12
ლაბორატორიული კვლევა		
გრანულომეტრია საცრული	ცდა	12
გრანულომეტრია არიომეტრი	ცდა	12
ტენიანობა	ცდა	30
სიმკვრივე	ცდა	18
მინერალური ნაწილის სიმკვრივე	ცდა	30
წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე	ცდა	9
დეფორმაციის მოდული	ცდა	6
ჭრა	ცდა	6
გრუნტების ქიმია	ცდა	5
წყლის ქიმია	ცდა	3
კამერალური სამუშაოები		
ფონდური გეოლოგიური, მეტეოროლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური მასალების მოძიება და დამუშავება	უბანი	1
საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგების კომპიუტერული დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენა (ქართული და ინგლისური ენა)	ანგარიში	2

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების საკითხის განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად ჩატარებულ იქნა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: საწყის ეტაპზე საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით მოხდა მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის და მთლიანად უბნის ვიზუალური დათვალიერება. ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად სამშენებლო მოედანზე გაიბურღა 12 ჭაბურღილი (იხ. ნახაზი 1). შესაბამისად ნაგებობებისა (დამკვეთთან სიტყვიერი შეთანხმებით,

ტექნიკური დავალების და მოწოდებული გეგმის საფუძველზე) ბურღვა ჩატარდა 10.0მ სიღრმემდე, მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით УРБ-2А-2, 127-108მმ დიამეტრით, მშრალი ბურღვის წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჭაბურღილების ბურღვის დროს ხდებოდა გრუნტების დასინჯვა. აღებულ იქნა დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 48 ნიმუში. გრუნტების ნიმუშების გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების შპს „გეოტექსერვისი”-ს გეოტექნიკის ლაბორატორიაში, სპეციალისტის გ. ნაცვლიშვილის მიერ. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით შედგენილია წინამდებარე ანგარიში.

საოფისე სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა საკვლევი ტერიტორიის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული გეოლოგიური მასალების მოძიება, შესწავლა. ასევე, განხორციელდა საველე გეომექანიკური აღწერების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის პროგრამული დამუშავება.

ანგარიშს თან ახლავს გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი, მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა (მოწოდებული დამკვეთის მიერ), ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები და უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

2. კლიმატური პირობები

საკვლევი უბნის კლიმატური პირობების შეფასება ეყრდნობა ქ. თბილისი, დიღომის (57) მეტეოსადგურების მონაცემებს. მონაცემები მიღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის სტანდარტით (ᲐᲜ 01.05-08).

საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება III კლიმატურ და III-გ ქვერაიონს. იანვრის საშუალო ტემპერატურა 0^0C-დან $+2^0$C-დე იცვლება, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურა $+25^0$C-დან $+28^0$C-ის ფარგლებშია.

ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი S და ჯამური რადიაცია Q, კვტ.სთ/მ^2 თვეში, პარამეტრები მოცემულია ცხრილში 2.1.

ცხრილი 2.1

იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი	
S	Q	S	Q	S	Q	S	Q
22	49	74	135	125	195	53	92

შენიშვნა: მზის პირდაპირი S და ჯამური Q რადიაციის მახასიათებლები წარმოადგენენ საანგარიშო სიდიდეებს წლის შესაბამისი დროის მიხედვით.

ჰაერის ტემპერატურული პარამეტრები მოცემულია ცხრილებში.

ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.2

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
0.7	2.3	6.2	11.6	17.0	20.8	24.2	24.4	19.5	13.8	7.4	2.5	12.3

ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.3

აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშ. მაქს.	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშ.	ყველაზე ცივი დღის საშ.	ყველაზე ცივი პერიოდის საშ.	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
						ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
-23	40	30.2	-8	-11	0.6	3.2	28.7

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა - ცხრილი 2.4

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
73	69	66	62	64	60	56	57	64	73	76	76	66

- ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში შეადგენს – 560მმ;
- ნალექების დღეღამური მაქსიმუმი – 147მმ;
- თოვლის საფარის წონა – 0.50კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 15.

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა w_0 5 წელიწადში ერთხელ 0.38კპა;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა w_0 15 წელიწადში ერთხელ 0.60კპა.

1 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 21 მ/წმ;

5 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 26 მ/წმ;

10 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 29 მ/წმ;

15 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 30 მ/წმ;

20 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 31 მ/წმ.

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე:

თიხოვანი და თიხნარი - 0 სმ;

წვრილი და მტვრისებრი ქვიშის თიხაქვიშა – 0;

მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის – 0;

მსხვილნატეხოვანის – 0.

3. ტექტონიკა, გეომორფოლოგიური და გეოლოგიური აგებულება, სეისმურობა

თბილისი მდებარეობს აღმოსავლეთ გრძედის 41 42'-ის და ჩრდილოეთ განედის 44 48'-ის გადაკვეთაზე. თბილისს ჩრთილოეთიდან ესაზღვრება საგურამოს, იალნოს და სხალტბის ქედები. აღმოსავლეთიდან მახათას გორა, ყეენის გორა და სამგორის ამაღლება. სამხრეთიდან მარნეულისა და ყარაიას ვაკეები, დასავლეთიდან აჭარა თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი განშტოებები. თბილისი მდებარეობს ამავე სახელწოდების ქვაბულში, რომელიც წაგრძელებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მდინარე მტკვარი თბილისს ყოფს ორ ასიმეტრიულ ნაწილად. მტკვრის მარჯვენა ფერდობზე განლაგებულია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ შემდეგი ქედები: არმაზის, ლისის, მამა დავითის, მთაბორის, თელეთის, იაღლუჯას. ამ ქედებს შორის მოთავსებულია ტაფობები. დიღმის, საბურთალოს, კრწანისის და კოდა-წალასხურის. აღსანიშნავია, რომ ქედები ემთხვევა დადებით სტრუქტურებს ანუ ანტიკლინებს, ხოლო ტაფობები უარყოფით სტრუქტურებს ანუ სინკლინებს.

მდ. მტკვრის ხეობის მონაკვეთი, რომელშიც შედის გამოკვლეული ტერიტორია, სუბგანედური მიმართულებისაა. იგი, რელიეფის მსხვილი ფორმების მიხედვით, თბილისის ქვაბულის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში მდებარეობს. მისი სამხრეთი ნაწილი, თრიალთის მთაგრახილის ჩრდილო განშტოების, ლისის ქედის ანტიკლინური მორფოსტრუქტურითაა შემოფარგლული. უშუალოდ განსახილველი ტერიტორია მდ. მტკვრის I-ალუვიური ტერასითაა წარმოდგენილი. მტკვრის დინების მიმართულებით დელუვიურ-პროლუვიური პროცესებით გართულებული ტერასული საფეხური წარმოდგენილია მდ. მტკვრისაკენ დამრეცად დაქანებული სიბრტყით, რომლის დონეთა სხვაობა 14 მ-ს აღწევს. აბსოლუტური სიმაღლე 409-422 მ-ია. შეფარდებითი სიმაღლე მტკვრის კალაპოტიდან საშუალოდ 18 მ-ია, მდ. დიღმის წყლის დონიდან-კი საშუალოდ 8 მ.

უბნის გეოლოგიურ აგებულებაში ძირითადად ქანების სამი კომპლექსი მონაწილეობს. მათ შორის გაბატონებულია გვიან მეოთხეული ასაკის ჭალისზედა I ტერასის დელუვიურ-პროლუვიური საფარი. მისი ზედა ნაწილი წარმოდგენილია ფაციალურად ერთიმეორეში გარდამავალი თიხების, თიხნარების, თიხაქვიშების და ქვიშების ლინზებისა და მცირე სისქის შრეების უსისტემო მონაცვლეობით, ხოლო ქვედა ნაწილი მსხვილი ფრაქციის ალუვიური კენჭნარი გრუნტებით.

დაღმავალ ჭრილში ალუვიურ-დელუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნების ქვეშ განლაგებულია მაიკოპური წყების შუა და ზედა ოლიგოცენური (P_3^{2+3}) ასაკის ქანები, წარმოდგენილი ქვიშაქვების, არგილიტების და ალევროლითების შრეების მორიგეობით. ქანები სტრუქტურულად განვითარებულია ლისის ანტიკლინის აღმოსავლეთ დაძირვის პერიკლინის ღერძულ ნაწილში. მათი წოლის ელემენტებია: დაქანების აზ. ჩრდილო-აღმ., დაქანების კუთხე ∠15-20^0.

განსახილველი უბნის ფარგლებში და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსად არ აღინიშნება რაიმე სეისმოგენერირებადი რღვევა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09)-დამტკიცების თანახმად, საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8 ბალიან (A – სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.17) (MSK64 სკალა) სეისმურ რაიონს.

4. ლაბორატორიული კვლევის შედეგები

საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილი გამონამუშევრებიდან აღებული იქნა 48 გრუნტის (ГОСТ 12071-84) და 12 წყლის ნიმუში.

ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. „გეოტექსერვისი"-ს კუთვნილ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად (ГОСТ 9,015-74, СНиП 2,03,11-85).

ლაბორატორიული კვლევა მოიცავდა გრუნტების დაშლილი და დაუშლელი (მონოლითური) სტრუქტურის ნიმუშების კვლევას.

ლაბორატორიულად შესწავლილია: 30 ნიმუში ქანების ფიზიკური და მექანიკური მაჩვენებლები (დანართი 1), 5 ნიმუში - ქანების ქიმიური შემადგენლობა (დანართი 7), 3 ნიმუში - წყლის ქიმიური შემადგენლობა (დანართი 9).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე გამოიყო 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (**სგე**):

სგე 1 თიხნარი ღია ყავისფერი, მაგარი, თიხაქვიშის ლინზებითა და თხელი შუაშრეებით, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით 5-დან 20%-მდე (dpQ_{IV});

სგე 2 თიხა ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური, თიხაქვიშის თხელი შუაშრეებით (dpQ_{IV});

სგე 3 კენჭნაროვანი გრუნტი, სხვადასხვა ზომის, ყავისფერი თიხნარის შემავსებლით, ხრეშის (15%-მდე) და კაჭარის (10%-მდე) ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQ_{IV});

სგე 4 კენჭნაროვანი გრუნტი, წვრილი და საშუალო ზომის, მოლურჯო-ნაცრისფერი თიხაქვიშის შემავსებლით, ხრეშის (15-20%-მდე) და იშვიათად კაჭარის ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQ_{IV});

სგე 5 ელუვირებული ქვიშაქვებისა და არგილიტების ცვალებადი სისქის (2-50 სმ) შრეთა მორიგეობა, ალევროლითების თხელი შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული, ძლიერ ნაპრალოვანი (P_3^{2+3})

დანართი 1 - გამოთვლილია ჩვენს მიერ უკვე გამოყოფილი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტების ფიზიკური და მექანიკური მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობები;

დანართი 2 - წარმოდგენილია გრუნტების გრანულომეტრიული შემადგენლობის ჯამური ცხრილი;

დანართი 3 მოცემულია გრუნტების გრანულომეტრია - საცრული და არიომეტრიული მეთოდით;

დანართი 4 მოყვანილია წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვის შედეგები;

დანართი 5 განხილულია დეფორმაციის მოდულის ცდა;

დანართი 6 იხილეთ ჭრის ცდის შედეგები;

დანართი 7 გადმოცემულია გრუნტების ქიმიური შემადგენლობა;

დანართი 8 გრუნტების აგრესიულობის ხარისხი;

დანართი 9 წყლის ქიმიური ანალიზი;

დანართი 10 წყლის აგრესიულობის ხარისხი;

დანართი 11 გარემოს აგრესიულობის ხარისხი;

გამოკვლეული უბნების ამგები გრუნტების ქიმიური შემადგენლობა შესწავლილია 5 ნიმუშით (დანართი 7). გრუნტების აგრესიულობის ხარისხი სხვადასხვა მარკის ბეტონების მიმართ მოცემულია დანართში 8.

როგორც დანართებიდან ჩანს **სგე 1** გრუნტები ჰიდროკარბინატულ, ქლორიდულ, კალციუმიანია. გრუნტები არ არიან აგრესიულინი პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – სუსტად აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ.

სგე 2 გრუნტები სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია, გრუნტები ძლიერ, საშუალოდ და სუსტად აგრესიულინი არიან პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ.

სგე 3 გრუნტები სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია, გრუნტები ძლიერ, საშუალოდ და სუსტად აგრესიულინი არიან პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ.

სგე 4 გრუნტები სულფატურ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია, გრუნტები ძლიერ, საშუალოდ და სუსტად აგრესიულინი არიან პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ.

სგე 5 გრუნტები ჰიდროკარბინატულ, ქლორიდულ, კალციუმ, მაგნიუმ, ნატრიუმ-კალიუმიანია. გრუნტები სუსტად ან საერთოდ არ არიან აგრესიულინი

პორტლანდ ცემენტის მიმართ, ქლორიდული დამარილიანებით – საშუალოდ აგრესიულნი ყველა სახის ბეტონების მიმართ.

გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობა შესწავლილია ჭაბ. №1, 6 და 12-დან აღებული ნიმუშის საფუძველზე.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით წყალი სულფატურ, კალციუმ ნატრიუმ-კალიუმიანი დამარილიანების ტიპისაა (დანართი 9).

ნიმუში ამჟღავნებს სუსტ აგრესიულობას წყალბადიონის მაჩვენებლით (განლაგებულ ქანებში Kf<0.1მ/დღ.ღ) W4 სახის ცემენტის მიმართ, ხოლო პორტლანდცემენტის მიმართ ძლიერ, საშუალოდ ან სუსტად აგრესიული არიან (დანართი 10).

წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინაბეტონის არმატურაზე, პერიოდული დასველებით არის საშუალო, ხოლო ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1მ/დღე-ღამეში, არის ასევე საშუალო (დანართი 11).

მონაცემები იხილეთ 7 თავში, ცხრილი 7.1-ში, ნორმატიული მაჩვენებლები.

5. ბრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება

საკვლევ მოედანზე (იხ. სურათი 1 და 2), გაბურღული ჭაბურღილების ლითოლოგიურ ჭრილებზე დაყრდნობით, აგებულება შემდეგია:



სურათი 1



სურათი 2

0.0 – 0.30მ ინტერვალი წარმოდგენილია ნიადაგის ფენით, თიხა ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, მც.ფესვების შემცველობით.

0.0 – 0.6მ ინტერვალი წარმოდგენილია ტექნოგენური გრუნტით - ხრეში (10-15%) და კენჭი (15-20%), ყავისფერი-შავი, პლასტიკური თიხაქვიშის (10-20%) შემავსებელით, კარბონატული.

ნიადაგის ფენას და ტექნოგენურ გრუნტს, თითქმის მთელს ტერიტორიაზე საგებად მოყვება ღია ყავისფერი, მაგარი თიხნარი, თიხაქვიშის ლინზებითა და თხელი შუაშრეებით, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით 5-დან 20%-მდე (dpQIV), რომელსაც აგრძელებს სხვადასხვა ზომის კენჭნაროვანი გრუნტი, ყავისფერი თიხნარის შემავსებლით, ხრეშის (15%-მდე) და კაჭარის (10%-მდე) ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQIV), აღსანიშნავია, რომ შესწავლილ უბანზე გვხვდება ორი სახის კენჭნაროვანი გრუნტი, სხვადასხვა შემავსებელით და სავარაუდოდ სხვადასხვა გენეზისით. მათ შორის ვლინდება ძნელპლასტიკური ღია ყავისფერი თიხები, უბანს ლითოლოგიური აღწერილობით და აგებულებით ასრულებს ელუვირებული ქვიშაქვებისა და არგილიტების ცვალებადი სისქის (2-50 სმ) შრეთა მორიგეობა, ალევროლითების თხელი შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული, ძლიერ ნაპრალოვანი (P_3^{2+3}).



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5

საკვლევი უბანი წარმოადგენს ხელოვნურად მოსწორებულ სამშენებლო მოედანს, რომელიც წარმოდგენილია პროლუვიურ დელუვიური და სხვადასხვა გენეზისის ალუვიური ნალექებით. მოედანი გეოლოგიური თვალსაზრისით

წარმოადგენს მდ. დიღომის წყალის და მდ. მტკვარის ტერასას, რაც გამოიხატება კენჭნაროვანი გრუნტის გამოვლენაში. კენჭნაროვანი გრუნტი გვხვდება ლინზების, ჯიბეების და ბუდობების სახით (იხ. სურათი 3, 4 და 5), რაც კარგად დაიკვირვება მიმდებარე ტერიტორიაზე. სამშენებლო მოედნის ამგები ქანების გავრცელება არაერთგვაროვანია. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მოედანს ესაზღვრება მდ. დიღომის წყალის ხევი, სადაც განვითარებულია სიღრმული ეროზია, რაც საყურადღებო და გასათვალისწინებელია მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში.

შესწავლილ ტერიტორიაზე საველე და ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ნიადაგის ფენა, ტექნოგენური გრუნტი და ხუთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე** (GE):

ნიადაგის ფენა, თიხა ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, მც.ფესვების შემცველობით;

ტექნოგენური გრუნტი, ხრეში (10-15%) და კენჭი (15-20%), ყავისფერი-შავი, პლასტიკური თიხაქვიშის (10-20%) შემავსებელით, კარბონატული;

სგე 1 თიხნარი ღია ყავისფერი, მაგარი, თიხაქვიშის ლინზებითა და თხელი შუაშრეებით, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით 5-დან 20%-მდე (dpQIV) (ГОСТ 25100-82);

სგე 2 თიხა ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური, თიხაქვიშის თხელი შუაშრეებით (dpQIV) (ГОСТ 25100-82);

სგე 3 კენჭნაროვანი გრუნტი, სხვადასხვა ზომის, ყავისფერი თიხნარის შემავსებლით, ხრეშის (15%-მდე) და კაჭარის (10%-მდე) ჩანართებით, მკვრივი წყობის (aQIV) (ГОСТ 25100-82);

